უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მისიაა - დაიცვას და განავითაროს საკაცობრიო ცოდნა, შექმნას ახალი და გააზიაროს მეცნიერების განვითარებისა და ინფორმაციული საზოგადოების აღმავლობის ხელშეწყობის მიზნით, მოამზადოს არა მარტო კონკურენტუნარიანი პროფესიონალები, არამედ აღზარდოს მაღალზნეობრივი, მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე, ეროვნული ცნობიერებისა და ლიბერალური ღირებულების მატარებელი თაობები, რომლებიც წონად წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკისა და სოციო-კულტურული განვითარების საქმეში, აიღებენ პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალზე.

ამას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის ინტერესებსა და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობით, რისთვისაც ის ქმნის ნიჭიერ და მოტივირებულ სტუდენტურ კლასტერს, რომელიც ადვილად ინტეგრირდება საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე.

უნივერსიტეტი, როგორც საუნივერსიტეტო იდეის მატარებელი საზოგადოება, თავის დანიშნულებას ხედავს ისეთი მიზნების განხორციელებაში, როგორიცაა:

1. ხელი შეუწყოს სტუდენტთა ზრდის პერსპექტივის შექმნას, მათი პიროვნული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობის გაფართოებისა და, სამივე საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამის ფარგლებში, მიზნობრივი სასწავლო-სამეცნიერო და დამატებითი აქტივობების განხორციელების გზით.

2. შექმნას შედეგზე ორიენტირებული სისტემა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განვითარებისათვის, რომელიც საფუძველს შექმნის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის გაფართოვებისა და ახალი სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად.

3. უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერთა თაობაში საკაცობრიო ცოდნის კონსერვაციისა და მისი ახლებურად გააზრების აუცილებლობის გაცნობიერება, ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება და მათი საერთაშორისო სამეცნიერო-აკადემიურ სივრცეში ინტეგრირება;

4. აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების საფუძველზე განავითაროს და სრულყოს მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური მობილობის ხელშეწყობის (უწყვეტი განათლება/კვალიფიკაციის ამაღლება), საკონსულტაციო-ექსპერტული და კლინიკური მომსახურების სისტემა.

საკუთარ მისას უნივერსიტეტი განახორციელებს შემდეგ ღირებულებებ-ზე/პრინციპებზე დარდნობით:

1. სწავლა-სწავლების პროცესის ლიბერალურობა, დემოკრატიულობა, ღიაობა.
2. აკადემიური შეუვალობა და ჭეშმარიტების თავისუფალი ძიება
3. მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება, მაღალი პასუხისმგებლობა
4. არჩევითობის თავისუფლება, გამჭვირვალობა, სამართლიანობა
5. სტუდენტი - სწავლა-სწავლების პროცესის ცენტრალური სუბიექტი